მოსწავლეთა თვითშეფასების ობიექტურობის შესწავლა და მისი ადეკვატურობის შეფასება

ეკატერინე კვირკველია
ქართულ ამერიკული უმაღლესი სკოლის პედაგოგი

შესავალი

თანამედროვე პირობებში ცოდნის დონის ამაღლებისა და ზოგადად სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებას. ამ პროცესში მასწავლებლის მხრიდან შეფასებასთან ერთად ფართო გავრცელება ჰპოვა მოსწავლეთა თვითშეფასების მეთოდის გამოყენებამ. მისი უმთავრესი მიზანია მოსწავლის სწავლის ხელშეწყობა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა, საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბება, სწავლების კონკრეტული მეთოდიკისა და სასწავლო პროგრამების ეფექტიანობის შემოწმება და საერთოდ სწავლის პროცესის მართვის სრულყოფა. შეფასების შედეგად მასწავლებელს ეძლევა ინფორმაცია მოსწავლეების სასწავლო საქმიანობის პროცესში მათი წინსვლისა და პრობლემების შესახებ. ეს უკანასკნელი კი ეხმარება პედაგოგს გამოიყენოს ის მეთოდები და საშუალებები, რომლის მეშვეობითაც იგი მიაღწევს სასურველ შედეგებს. ამიტომ, ჩემი აზრით, მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მასწავლებელთა მხრიდან მოსწავლეთა შეფასების მოქნილი და ეფექტიანი სისტემების გამოყენება საშუალებას მოგვცემს მივაღწიოთ მის ძირითად მიზანს „სწავლა–სწავლების ხარისხის მართვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო, მეორე მხრივ–მის გაკონტროლებას“[1].

მოსწავლეთა თვითშეფასების როლი და მნიშვნელობა სწავლების ხარისხის ამაღლებაში

თვითშეფასება ნებისმიერი ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებისა და განვი-თარების უმნიშვნელოვანესი და განსაკუთრებული ფაქტორია. ხოლო რაც შეეხება „ბავშვებს ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში უყალიბდებათ და უვითარდებათ თვითშეფასება–საკუთარი შესაძლებლობებისა და თვისებების შეფასების უნარი, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს მათ ქცევას. ყველა ასაკის ბავშვისთვის ქცევის მოტივაციური მნიშვნელობა იმდენად დიდია, რომ თვითშეფასებასა და შეფასებას შორის კონფლიქტის დროს ქცევის წამყვან მოტივად თვითშეფასება იქცევა“[2].თვითშეფასება არის პროცესი, რომლის საშუალებითაც მოსწავლე ერთვება საკუთარი სწავლის მიზნების ჩამოყალიბებასა და საკუთარი სწავლის პროცესის მართვაში. „საკუთარი ხარვეზების აღმოჩენა და მათი კორექცია მოსწავლეებს სწორ დამოკიდებულებას უყალიბებს შეცდომის მიმართ. კერძოდ, ისინი ხვდებიან, რომ შეცდომების აღმოჩენა და გასწორება ცოდნის შეძენის ეფექტური გზაა. თვითშეფასება განუმტკიცებს მათ საკუთარი ძალებისადმი რწმენას და თვითშემეცნებისადმი მისწრაფებას, რის გარეშეც შეუძლებელია წარმატების მიღწევა XXI საუკუნეში“.[3]

თვითშეფასების პრობლემის კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმითაც, რომ სასწავლო პროცესში ხშირად ვლინდება მოსწავლეთა ემოციური მხარის არაადეკვატურობა. კერძოდ, მათ უვითარდებათ დეპრესია, შიში სასწავლო პროცესის მიმართ, უქვეითდებათ საკუთარი თავის რწმენა და შესაბამისად ცუდად გრძნობენ თავს თანაკლასელთა შორის. იქმნება ეჭვი, რომ ეს პრობლემა დაკავშირებულია მოსწავლეთა თვითშეფასებასთან.

---

[1]**პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია.** წიგნიერება. მასწავლებლის სახელმძღვანელო. შპს „მწიგნობარი“, თბილისი 2012წ. გვ.100.

[2]**ქეთევან ოსიაშვილი.** თვითშეფასება და მისი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=491.

[3]**მაია ბლიაძე, რუსუდან ახვლედიანი.** ბუნება 4, მასწავლებლის წიგნი. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. თბილისი 2018. გვ. 161.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსწავლეთა თვითშეფასების პრობლემების კვლევა, მისი ადეკვატურობის უზრუნველყოფის გზების ძიება ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით დასახული ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის გამოვლენას თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად შეფასებას, ასევე რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად. ასევე მნიშვნელოვანია იმის შეფასება თუ რამდენად ახერხებს მოსწავლე ცოდნის ერთობლიობათა ფუნქციურად გამოყენებას შინაარსიან კონტექსტებში[4].

იმის დასადგენად თუ რამდენად ადეკვატურია მოსწავლეთა თვითშეფასება, გადავწყვტე განმეხორციელებინა კვლევა საგნობრივი კომპეტენციების შესრულების მდგომარეობის შესწავლა-გამოკვლევის საფუძველზე შერჩეულ ინდიკატორებზე დაყრდნობით. კვლევა განვახორციელე მესამე კლასის მოსწავლეებთან.

კვლევის მონაწილენი არიან მასწავლებელი და მოსწავლეები. სამიზნე ჯგუფი– მესამეკლასელები. კვლევის მთავარი კითხვა-რამდენად ობიექტურია დაწყებითი კლასის მოსწავლის თვითშეფასება? როგორ გავხადოთ იგი ადეკვატური? აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ბუნებრივია დაკავშირებულია კონკრეტულ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემასთან. კერძოდ: როგორ დავადგინოთ თვით მოსწავლის თვითშეფასების ობიექტურობა; როგორ მივაღწიოთ მოსწავლეთა თვითშეფასების ადეკვატურობას; რა ცვლილებები შეიძლება გამოვლინდეს ინტერვენციების შედეგად და სხვა.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, კვლევის ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა სტრუქტურიზებული კითხვარი (ანკეტირება). კითხვარი ქართულ ენასა და ლიტერატურაში შედგებოდა 15 კითხვისგან, (კითხვარი-შეფასების სქემები შედგენილ იქნა ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემული ინდიკატორების მიხედვით).

მოსწავლეთა შეფასებისა და კვლევის პროცესში მოპოვებული ინფორმაციის საიმე-დოობის მიზნით მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობდა სასწავლო წლის მანძილზე. დაკვირვების საფუძველზე (დაკვირვება წარმოებდა დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემისას, დაფასთან მუშაობისას, ჯგუფურ მუშაობაში მონაწილეობისას, საკლასო ან საშინაო დავალების შესრულებისას...) მოგროვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეივსო კითხვარები-შეფასების სქემები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. კითხვარები-შეფასების სქემები შეივსო როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლეების მიერ. მასწავლებლისა და მოსწავლეების შეფასების სქემები, მოცემული ინდიკატორები/შეფასების რუბრიკები იყო იდენტური. კვლევის დროს დაცულ იქნა კვლევის ეთიკის ნორმები. მონაცემები იყო კონფედენციალური. მოსწავლეები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მონაცემები არ გასაჯაროვდებოდა.

საბოლოოდ, ქართული და უცხოური ლიტერატურული წყაროებისა[5] და ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დასკვნები. კერძოდ:

- ✓ მოსწავლეთა ნაწილს აქვს დაბალი თვითშეფასება, მოსწავლეთა ნაწილს კი, მაღალი თვითშეფასება და მიაჩნია, რომ წარმატებით დაძლია მოცემული ინდიკატორები, რაც გარკვეულწილად არ ემთხვევა მასწავლებლის შეფასებას. მოსწავლეთა ნაწილის შეფასება კი მასწავლებლის შეფასების ადეკვატურია;

---

[4]დაწყებითი საფეხურის ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 3 მაისის ბრძანება №63/ნ. 2018წ. http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/.pdf. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის ბრძანება №40/ნ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/3285991?publication=0.

[5]იხ. მოკლე ჩამონათვალი გამოყენებული ლიტერატურის სიაში.

- ✓ დაწყებითი კლასის მოსწავლეების ადეკვატური თვითშეფასების განვითარება ძალზე რთული და შრომატევადი პროცესია. იგი ხორციელდება მასწავლებლის მიერ მიზანმიმართული საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების შედეგად, რომელიც მოსწავლეებს ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესში;
- ✓ თვითშეფასება, როგორც ადამიანის დამოკიდებულება თავის უნართან, შესაძლებლობებთან, პიროვნულ მახასიათებლებთან, გარეგნობასთან, ქცევასთან და თვითშემეცნება ვლინდება საქმიანობის პროცესში, უშუალოდ გარკვეული ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, უპირველეს ყოვლისა ბავშვის სხვებთან და გარე ფაქტორებთან ურთიერთობის პროცესში;
- ✓ თვითშეფასების ფორმირება დაკავშირებულია ბავშვის აქტიურ მოქმედებასთან, თვითდაკვირვებასა და თვითკონტროლთან. მეცადინეობა, თამაში, სხვებთან ურთიერთობა განაპირობებს იმას, რომ მოსწავლემ მუდმივად მიაქციოს ყურადღება საკუთარ თავს;
- ✓ მოსწავლის თვითშეფასებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ორო ფაქტორი: სხვებთან ურთიერთობა და თვით ბავშვის მიერ მისი საქმიანობის თავისებურებების, წარმართვისა და შედეგების შემეცნება. იგი ვერ განხორციელდება ავტომატურად თუ მშობლები და აღმზრდელები არ ასწავლიან ბავშვს საკუთარი თავის ხედვას, თავიანთი ქმედებებისა და საქმიანობის სხვებთან კოორდინირებას, საკუთარი სურვილების სხვებთან შეთანაწყობას;
- ✓ პედაგოგის წინაშე არსებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია მას კარგად ჰქონდეს გათვითცნობიერებული და იცოდეს მოსწავლის საქმიანობის პროცესში არსებული იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ზემოქმედებენ ბავშვის, როგორც პიროვნების განვითარებასა და თვითშეფასებაზე. ეს ფაქტორებია: საერთო სასკოლო შეფასება; კომპეტენტურობის გრძნობა; ოჯახური აღზრდა; რეფლექსების ჩამოყალიბება და განვითარება.

თვითშეფასების პროცესის ობიექტურობისა და მისი დონის ამაღლების მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია გათვალისწინებული იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- ✓ საგანმანათლებლო საქმიანობა არის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა თვითშეფასების ფორმირებაზე. შესაბამისად, დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა უნდა იცოდეს დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა ფსიქოლოგიური მახასიათებლები და გაითვალისწინოს თვითშეფასების ინდივიდუალური მახასიათებლები საგანმანათლებლო პროცესში;
- ✓ მნიშვნელოვანია ბავშვს ყოველმხრივ ვასწავლოთ და შევძინოთ სწავლების უნარი. მან უნდა შეძლოს დაინახოს მის წინაშე არსებული სასწავლო ამოცანები და მოძებნოს მისი გადაწყვეტის ოპტიმალური გზები. ეს საჭირია არა მარტო უშუალოდ სწავლების პროცესისათვის, არამედ ნებისმიერი საქმიანობის სფეროში, მათ შორის თამაშის დროსაც. ბავშვს უნდა ვასწავლოთ ნებისმიერ სიტუაციაში აკონტროლოს თავისი მოქმედებები, სწორად შეაფასოს იგი, იყოს ყურადღებიანი სამუშაოს შესრულების ყოველ ეტაბზე, ნებისმიერ მის შუალედურ შედეგთან მიმართებაში;
- ✓ ბავშვს უნდა დავეხმაროთ საკუთარი თავის წარმოჩენაში, თავისი შესაძლებლობების რეალიზაციაში, რაც დაეხმარება მას აიმაღლოს ავტორიტეტი მასწავლებლებსა და კლასელებთან მიმართებაში. როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ უუნარო ბავშვები არ არსებობენ, ყველა მათგანს გააჩნია განსაკუთრებული მიდრეკილებანი. ამიტომ, ნებისმიერი თანადგომა მათი შექებისა და სტიმულირების მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია მათთვის საკუთარი შესაძლებლობებისა და საკუთარი თავისადმი რწმენის გაღვივებაში. ასეთ ბავშვს არ ეშინია სირთულეების და ყოველთვის პოულობს ძალას მისი გადაჭრის, დაძლევის მიზნით;

- ✓ ყველა მოსწავლე უნდა გრძნობდეს სხვების (თანაკლასელების, ამხანაგების, მასწავლებლების) პატივისცემას და თანადგომას. ეს კი წარმოადგენს პიროვნების ფორმირების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.
- ✓ დახმარება, თანადგომა, ხელისშეწყობა, შექება ბავშვთან ურთიერთობის ერთი-ერთი მხარეა, განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. ამიტომ, აუცილებელია მოსწავლეებს გამოვუმუშაოთ თვითკრიტიკის უნარიც. განსაკუთრებით ეს საჭიროა მაღალი შეფსების მქონე მოსწავლეებისათვის. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეძლებენ ისინი დასახონ სათანადო სირთულის ამოცანები და შეიმუშაონ მისი გადაჭრის მიმართულებები, გზები;
- ✓ მოსწავლეთა თვითშეფასების ხარისხისა და საიმედოობის ამაღლების მიზნით აუცილებელია საფუძვლიანად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ამ პროცესში არსებული კონკრეტული პრობლემები. ერთ–ერთ ასეთ სერიოზულ პრობლემას მიეკუთვნება მოსწავლეთა მიერ შეფასების შედეგების დადაბლება ან პირიქით, ამაღლება რეალურთან შედარებით.
- ✓ აუცილებელია ბავშვებმა ისწავლონ თავისი შეფასებისა და თვითშეფასების შედეგების დასაბუთება. ამისათვის საჭიროა, რომ მოსწავლეებმა დაასაბუთონ არა მარტო კარგად შესრულებული სამუშაოს მიხედვით შეფასება, არამედ ისწავლონ ამ პროცესში წარმოშობილი სირთულეებისა და საერთოდ იმ მომენტების გამოვლენა რომლებიც ჯერ კიდევ სუსტადაა ათვისებული. მათ რეალური წარმოდგენა უნდა ქონდეთ იმის თაობაზე ესა თუ ის ამოცანა რატომაა შესრულებული ცუდად, ან საერთოდ რატომ არაა შესრულებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ✓ **ქეთევან ჭკუასელი, ივანე ჭკუასელი,** პედაგოგიკის ზოგადი საფუძვლები. გამომცემლობა "ინტელექტი", თბილისი 2012წ.
- ✓ **პაატა პაპავა, თამარ ჭანტურია.** წიგნიერება. მასწავლებლის სახელმძღვანელო. შპს „მწიგნობარი", თბილისი 2012წ.
- ✓ **ქეთევან ოსიაშვილი.** თვითშეფასება და მისი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=491;
- ✓ თვითშეფასება–გზა თვითფორმირებისაკენ. ელექტრონული ჟურნალი. www.Education.ge;
- ✓ Building Self-Esteem in School-Age Children. https://connectability.ca/2010/09/23/building-self-esteem-in-school-age-children/;
- ✓ The Importance of Positive Self-Esteem for Kids. https://www.understood.org/en/friends-feelings/empowering-your-child/self-esteem/;
- ✓ **Савинова Е. Ю.** Исследование уровня самооценки младших школьников.Педагогическое мастерство: материалы междунар. науч. конф. (г. Москва, апрель 2012 г.). М.: Буки-Веди, 2012.С.178-180.